განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

16/08/2024

MES 3 24 0000982472

ბრძანება

თბილისი

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის №242 დადგენილებით განსაზღვრული სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებისათვის განცხადების ელექტრონული რეგისტრაციის წესისა და ვადების, საჭირო დოკუმენტების ნუსხისა და განცხადებების განხილვის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში იმ სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე” საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის N242 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის N28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 07 აგვისტოს N953393 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) „სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად განცხადების ელექტრონული რეგისტრაციის წესი და ვადები, განცხადებების განხილვის წესი“ ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) „სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად საჭირო დოკუმენტების ნუსხა“ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა
და ახალგაზრდობის მინისტრი

გიორგი ამილახვარი

დანართი N1

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად განცხადების ელექტრონული რეგისტრაციის წესი და ვადები, განცხადებების განხილვის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი არეგულირებს სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად განცხადებების ელექტრონული რეგისტრაციის წესს, ვადებს, განხილვის წესსა და პირობებს (შემდგომ - წესი).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული განცხადებების რეგისტრაციის მიზნით, შექმნილია ელექტრონული პორტალი (შემდგომ - პორტალი), რომლის მართვისა და ადმინისტრირების პირობებს, ასევე, განსაზღვრავს ეს წესი.

მუხლი 2. პორტალის აღწერა

1. პორტალი წარმოადგენს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომ - მართვის სისტემა) სერვერზე განთავსებულ ბაზას, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 ივლისის №242 დადგენილების (შემდგომ - დადგენილება) თანახმად, სტუდენტებისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების მიზნით, ელექტრონულად ხორციელდება სოციალური პროგრამის ფარგლებში განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების რეგისტრაცია, მიღება და შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შედეგების ასახვა.
2. პორტალის ელექტრონული მისამართია: http://socreg.mes.gov.ge/login/.

მუხლი 3. პორტალზე რეგისტრაცია და განცხადების შევსების ვადები

1. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად დაინტერესებული აბიტურიენტი/სტუდენტი განცხადებას წარადგენს ელექტრონულად 2024 წლის 6 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით.
2. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად, მონაწილეობის მიღების საფუძველია აბიტურიენტის/სტუდენტის განცხადება სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებაში მონაწილეობის მიღების შესახებ.
3. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად დაინტერესებული აბიტურიენტის/სტუდენტის რეგისტრაცია და განცხადების შევსება ხორციელდება ამ წესით დადგენილი პროცედურებისა და განსაზღვრული ვადების შესაბამისად.
4. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული განცხადება აბიტურიენტის/სტუდენტის მიერ ივსება პორტალზე ელექტრონული ფორმით.

5. პორტალზე რეგისტრაციის დროს აბიტურიენტი/სტუდენტი ნებაყოფლობით თანხმობას აცხადებს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან (შეგროვება, მათზე წვდომა, გამოთხოვა, ურთიერთდაკავშირება, შენახვა და გამოყენება) დაკავშირებით, „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და უთითებს შემდეგ მონაცემებს:
ა) პირადი ნომერი;
ბ) სახელი, გვარი;
გ) საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
დ) ელექტრონული ფოსტის მისამართი.
6. პორტალზე რეგისტრაციისათვის და განცხადების წარდგენისთვის განმცხადებელს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოპოვებული უნდა ჰქონდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლება ან/და ჩარიცხული უნდა იყოს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისი მონაცემები ასახული იყოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომ - საინფორმაციო სისტემა).
7. აბიტურიენტი/სტუდენტი, რომლის პირადი ნომერიც არ ფიქსირდება საინფორმაციო სისტემაში, ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, მიმართავს მართვის სისტემას.
8. აბიტურიენტის/სტუდენტის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში, აბიტურიენტი/სტუდენტი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია წერილობითი განცხადებით დაუყოვნებლივ მიაწოდოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომ - სამინისტრო).
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა განცხადების განხილვის პროცესში სამინისტროს მიერ განმცხადებლისათვის გასაგზავნი ინფორმაციის მიუღებლობის სამართლებრივ შედეგებზე ეკისრება განმცხადებელს.
10. პორტალზე განცხადებას ვერ შეავსებს აბიტურიენტი/სტუდენტი, რომელმაც სწავლის უფლება მოიპოვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
11. განცხადების შევსების დროს აბიტურიენტი/სტუდენტი უთითებს:
ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების წელს, რომლის საფუძველზეც მოიპოვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლება;
ბ) დადგენილების მე-3 მუხლითა და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „დ“, „ვ“, „თ“ „ი“, „ლ“, „ნ“, „პ“, „რ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ იმ კატეგორიას/კატეგორიებს, რომელსაც განეკუთვნება.
12. აბიტურიენტი/სტუდენტი, გარდა დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „ჟ“, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-7 მუხლის მეორე პუნქტის „რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აბიტურიენტი/სტუდენტისა, ვალდებულია ატვირთოს ამ მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კატეგორიის/კატეგორიებისადმი კუთვნილების განმსაზღვრელი სათანადო

დოკუმენტები ამ ბრძანების პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი N2-ის შესაბამისად.
13. თუ აბიტურიენტი/სტუდენტი არ ატვირთავს ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებს, მისი განცხადება არ განიხილება.
14. აბიტურიენტის/სტუდენტის მიერ წარდგენილ განცხადებაში მონაცემების შეცვლა, მათ შორის, დადგენილების მე-3 მუხლითა და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „დ“, „ვ“, „თ“ „ი“, „ლ“, "ნ", "პ", „რ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე კატეგორიის დამატება/ცვლილება შესაძლებელია ამავე წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადებში, 2024 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. განცხადების განხილვის პროცედურები
1. სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტი განიხილავს ელექტრონულ განცხადებას და საჭიროების შემთხვევაში ახარვეზებს განცხადებას.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხარვეზის დადგენის შემთხვევაში განმცხადებელი მიიღებს შეტყობინებას რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე.
3. აბიტურიენტი/სტუდენტი ვალდებულია დადგენილი ხარვეზი გამოასწოროს 2024 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების ვადის გასვლის შემდეგ აბიტურიენტის/სტუდენტის განცხადება განიხილება მხოლოდ იმ კატეგორიაში/კატეგორიებში დაფინანსების მოსაპოვებლად, რომლის დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტებიც წარმოდგენილია სრულყოფილად.
5. დადგენილების მე-3 მუხლითა და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „დ“, „ვ“, „თ“ „ი“, „ლ“, „ნ“, „პ“, „რ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კატეგორიის/კატეგორიების ცვლილება, დასაშვებია მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის/აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში პორტალზე მონიშნეს კატეგორია/კატეგორიები და ატვირთეს დოკუმენტები, მაგრამ კატეგორია მონიშნეს არასწორად, მიეკუთვნებიან სხვა კატეგორიას და ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების ვადაში, წერილობითი განცხადებით მიმართეს სამინისტროს, კატეგორიის/კატეგორიების ცვლილებასთან დაკავშირებით.
6. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვება შესაძლებელია, თუ განმცხადებელი აკმაყოფილებს დადგენილებით და ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს და „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ 39-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში გამოცემულია რექტორის ერთიანი აქტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში აბიტურიენტის ჩარიცხვის შესახებ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის №90/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა

და პირობების" მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში ასახულია საინფორმაციო სისტემაში.
7. დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტუდენტები სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებას შეძლებენ თუ აკმაყოფილებენ დადგენილების და ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, 2024 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით აქვთ სარეიტინგო ქულა 70000 ან ნაკლები.
8. დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტუდენტების აღნიშნული კატეგორიისადმი კუთვნილება დასტურდება უმაღლესი განათლების დეპარტამენტის მიერ სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტიდან გამოთხოვილი წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე, რომ სტუდენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში იყო სამინისტროს მიერ განხორციელებული "ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის" პროგრამის "განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით" ქვეპროგრამის ბენეფიციარი, როგორც ბოშა მოზარდი.
9. ინფორმაციას სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის შესახებ, განმცხადებელი მიიღებს რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.
10. თუ აბიტურიენტმა/სტუდენტმა ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მონიშნა კატეგორიები, მაგრამ ამავე ვადაში შეცდომით გადანიშნა ერთი ან რამდენიმე კატეგორია და ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების ვადაში წარმოადგინა განცხადება სამინისტროში კატეგორიის/კატეგორიების აღდგენის თხოვნით, რომელსაც თან დაურთო კატეგორიის/კატეგორიების დამადასტურებელი სათანადო დოკუმენტები, მისი კანდიდატურა განიხილება სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად აღნიშნულ კატეგორიებში.

მუხლი 5. პორტალის მართვა, ადმინისტრირება, მონაცემებზე წვდომა, კონფიდენციალობა და შენახვის ვადა

1. პორტალის ტექნიკურ ადმინისტრირებას ახორციელებს მართვის სისტემა, ხოლო პორტალზე მიმდინარე პროცესების მართვას ახორციელებს სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტი და მართვის სისტემა.
2. პორტალზე ასახულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა გააჩნია:
ა) სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლებს, რომელთაც გააჩნიათ პორტალის მონაცემებზე წვდომის შესაბამისი მასშტაბი;
ბ) მართვის სისტემის თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობენ პორტალის შექმნაში (დეველოპერი), დახვეწაში ან/და მართვაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები, ვალდებულნი არიან დაიცვან პორტალზე ასახული ინფორმაციის კონფიდენციალობა, არ გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
4. სამინისტრო, ამ წესით განსაზღვრული ვალდებულებების განხორციელების მიზნით, უფლებამოსილია გამოიყენოს როგორც მისი კომპეტენციის ფარგლებში უკვე არსებული/დამუშავებული პერსონალური მონაცემები, ასევე გამოითხოვოს, მიიღოს და დაამუშაოს სხვა ადმინისტრაციული ორგანოების, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზებში არსებული პერსონალური მონაცემები.
5. პორტალზე ასახული მონაცემები ელექტრონულად არქივდება და ინახება 75 წლის განმავლობაში. დაარქივებულ მონაცემებზე წვდომა გააჩნია სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლებს, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. 75 წლიანი ვადის გასვლის შემდგომ - მონაცემები წაიშლება.

მუხლი 6. პორტალის უსაფრთხოება
1. პორტალით შეტყობინებების გაგზავნა ხორციელდება დაცული არხის საშუალებით.
2. პორტალის უსაფრთხოდ ხელმისაწვდომობისთვის გამოიყენება ვებ აპლიკაციის ცეცხლოვანი კედელი (WAF), რომელიც უზრუნველყოფილია ყველა ტიპის შეტევებისგან დამცავი პოლიტიკებით.
3. პორტალის გარე სისტემებთან ინტეგრაცია ხდება დაშიფრული არხით (VPN - ვირტუალური კერძო ქსელის გამოყენებით).
4. პორტალის მონაცემთა ბაზაში პაროლები ინახება დაშიფრულად.
5. დაუშვებელია ავტორიზებული მომხმარებლის მიერ მომხმარებლის სახელის და პაროლის გადაცემა სხვა პირებზე. უსაფრთხოების აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელი პასუხისმგებელია არაავტორიზებული წვდომით მიღებულ შედეგზე.
6. პორტალში გამოიყენება მრავალფაქტორიანი ვერიფიკაციის მეთოდი, რაც გულისხმობს მომხმარებლის სახელისა და პაროლის სწორად მითითების შემთხვევაში, მობილურის ნომერზე, ელექტრონულ ფოსტაზე ან სხვა უსაფრთხო მოწყობილობაზე დამატებით ექვსნიშნა კოდის გენერირებას, რომლითაც სრულდება ავტორიზაცია.
7. ავტორიზებული მომხმარებლის სესიის ხანგრძლივობა სისტემაში უმოქმედობის შემთხვევაში განისაზღვრება 30 წუთით. ამ დროის გასვლის შემდეგ ავტომატურად ხდება სისტემიდან გამოსვლა (Log out) და სესიის გასუფთავება.
8. პორტალის მიერ cookie-ის (ტექსტური ფაილები, რომელიც ინტერნეტ-ბრაუზერის საშუალებით ინახება კომპიუტერულ სისტემაში) გამოყენებისას აუცილებელია მომხმარებლის ინფორმირება.

9. პორტალის პროგრამული უზრუნველყოფის/დეველოპმენტის დასრულების შემდეგ, მართვის სისტემა უზრუნველყოფს პორტალის უსაფრთხოების დონეების განსაზღვრას და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში მათ გამოსწორებას.

მუხლი 7. პორტალზე განხორციელებული ოპერაციების შენახვა (ლოგირება)

პორტალი უზრუნველყოფს ადმინისტრატორის და კოორდინატორის როლის მქონე მომხმარებლის ქმედებების ლოგირებას, კერძოდ, შემოსულ განცხადებაზე სტატუსის ცვლილების ტიპისა (დადასტურება და დახარვეზება) და დროის შენახვას.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებანი

კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების ვადების დაცვის უზრუნველსაყოფად, პორტალში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების სისტემის გაუმართაობის/ტექნიკური მიზეზების გამო გაგრძელების შეუძლებლობის შემთხვევაში, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია უზრუნველყოს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელება ალტერნატიული საშუალებით (ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა), ხოლო განხორციელებული პროცესის შედეგი შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში ასახოს პორტალზე ამ წესის გათვალისწინებით.

დანართი N2

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად საჭირო დოკუმენტების ნუსხა

1. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო 3 სასწავლო წლის განმავლობაში სრულად სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხით“ გათვალისწინებულ დასახლებაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. სტუდენტებმა, რომლებიც:
2.1 ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომელთა სრული ზოგადი განათლების აღიარება მოხდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:
- ცნობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული სრული ზოგადი განათლების აღიარების შესახებ;

2.2 ბოლო ორი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.3 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ხოლო სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- ცნობა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციიდან/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროდან, რომ პირი 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წელი სწავლობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე;

2.4 თავიანთ ოჯახებთან ერთად, 2008 წლის 7 აგვისტომდე მუდმივად ცხოვრობდნენ ერედვის, ქურთის, თიღვის, ახალგორის ან აჟარის მუნიციპალიტეტებში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:
- ცნობა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციიდან/აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის გამგეობიდან, რომ პირი 2008 წლის 7 აგვისტომდე, ბოლო ერთი წელი ოჯახთან ერთად მუდმივად ცხოვრობდა ერედვის, ქურთის, თიღვის, ახალგორის ან აჟარის მუნიციპალიტეტში;

2.5. 2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და COVID-19-ის ვირუსით გამოწვეული პანდემიიდან გამომდინარე, 2020 წლის გაზაფხულიდან 2022 წლის გაზაფხულის ჩათვლით, ვერ შეძლეს ზოგადი განათლების ბოლო ორი სასწავლო წელი სრულად ესწავლათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:
- ცნობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროდან/სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციიდან, რომ სტუდენტმა ვერ შეძლო ოკუპირებულ ტერიტორიაზე, COVID-19-ის ვირუსით გამოწვეული პანდემიიდან გამომდინარე, 2020 წლის გაზაფხულიდან 2022 წლის გაზაფხულის ჩათვლით, სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 სასწავლო წელი სრულად ესწავლა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში/ცხინვალის რეგიონში.

3. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო 3 სასწავლო წლის განმავლობაში სრულად სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო 3 სასწავლო წლის განმავლობაში სრულად სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. სტუდენტებმა, რომლებიც არიან:
5.1 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულის, უგზო-უკვლოდ დაკარგულის და მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილის შვილი;

5.2 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:
- სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის 1998 წლის მაისისა ან 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულის შვილი;

5.3 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:
- სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანი ან მისი შვილი.

6. სტუდენტებმა, რომლებიც არიან:
6.1 საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გარდაცვლილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- სტუდენტის დაბადების მოწმობა;

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, სამხედრო მოსამსახურის საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გარდაცვალების თაობაზე.

6.2 საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირებმა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომ სამხედრო მოსამსახურე (სტუდენტი) არის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების მქონე;

- სამედიცინო ცნობა (ფორმა **№IV-50/4** ან **№IV-50/2**), ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის მქონე პირი.

6.3 საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირების შვილებმა, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- სტუდენტის დაბადების მოწმობა;

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, სამხედრო მოსამსხურის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების თაობაზე;

- სამედიცინო ცნობა (ფორმა **№IV-50/4** ან **№IV-50/2**), ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც

დასტურდება, რომ სამხედრო მოსამსახურე არის მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის მქონე პირი.

7. სტუდენტებმა, რომლებიც არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- სტუდენტის დაბადების მოწმობა;

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტი, სამხედრო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების თაობაზე.

8. სტუდენტებმა, რომლებსაც „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული ჰქონდათ რეპატრიანტის სტატუსი, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაცემული ცნობა, რომ პირს მოპოვებული ჰქონდა რეპატრიანტის სტატუსი.

9. სტუდენტებმა, რომლებიც არიან ობოლნი (გარდაცვლილი ჰყავთ დედ-მამა ან გარდაცვლილი ჰყავთ დედა და დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება), სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- დაბადების მოწმობა;

- დედ-მამის გარდაცვალების მოწმობები;

ან

- სასამართლო გადაწყვეტილება მშობლის/მშობლების გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ;

ან

- დედის გარდაცვალების მოწმობა ან სასამართლო გადაწყვეტილება დედის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტის დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება;

ან

- **სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება სტუდენტის დაბადების მოწმობის მშობლების გრაფაში მითითებული ინფორმაცია.**

10. სტუდენტებმა, რომლებიც არიან მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- მშობლის სახელზე გაცემული ცნობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სამსახურიდან მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ.

11. სტუდენტებმა, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- სამედიცინო ცნობა (ფორმა №IV-50/4 ან №IV-50/2)

ან

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება რომ სტუდენტი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

12. სტუდენტებმა, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ (სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და დაფინანსების წყაროსი) ან მინდობით აღზრდაში) ან გასული არიან სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო სამი წლის განმავლობაში და იმყოფებოდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მინიმუმ ორი წლის განმავლობაში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს რომ პირი იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ.

13. სტუდენტების, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე, კატეგორიისადმი კუთვნილება დასტურდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული სსიპ - სოციალური მომსახურების

სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის მონაცემების საფუძველზე.

14. სტუდენტებმა, რომლებიც ბოლო 3 სასწავლო წლის განმავლობაში სრულად სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

15. სტუდენტებმა, რომლებიც არიან აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ზოგადი აშლილობების ჯგუფიდან ერთ-ერთი: F84.0, F84.1, F84.2, F84.3, F84.4, F84.5, F84.8, F84.9) მქონე პირები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად, ამ ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა ატვირთონ:
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № IV-100/ა, არაუმეტეს 2 თვით ადრე გაცემული განცხადების წარმოდგენიდან), რომელშიც დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით, პირის ძირითად დიაგნოზად მითითებულია განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფიდან ერთ-ერთი: F84.0; F84.1; F84.2; F84.3; F84.4; F84.5; F84.8; F84.9. და ასევე დიაგნოზის დასმისას გამოყენებულია შემდეგი ტესტები:
- აუტიზმის შესაფასებელი ინსტრუმენტი (ADOS ან/და ADI-R);
- ინტელექტის შესაფასებელი ინსტრუმენტი (WAIS-IV - Wechsler Adult Intelligence Scale, 4th edition ან/და WNV - Wechsler Nonverbal Scale of Ability ან ზრდასრულთა ინტელექტის შესაფასებელი ნებისმიერი საერთაშორისოდ აღიარებული ინსტრუმენტი);
- ადაპტური ფუნქციონირების შესაფასებელი ინსტრუმენტი (მაგ., Vineland - 2, Vineland Adaptive Behavior Scales, II edition ან ABAS-3 - Adaptive Behavior Assessment System Third Edition).

16. სტუდენტები, რომლებიც საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში იყვნენ საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებული "ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის" პროგრამის "განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით" ქვეპროგრამის ბენეფიციარები, როგორც ბოშა მოზარდები, მათი კატეგორიისადმი კუთვნილება დასტურდება **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგზარდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე, რომ სტუდენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში იყო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ**

განხორციელებული "ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის" პროგრამის "განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით" ქვეპროგრამის ბენეფიციარი ბოშა მოზარდი".